



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბილ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყველა უკადრისებამე უსამაგლისია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ორშაბათი-სამშაბათი, 13-14 დეკემბერი. 2021 წ. №212 (9331) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge უსი 1 ლარი

რაზე მოაწერა
ხელი ევროპის
საპარლამენტო
ასამბლეის
ქართულმა
დელეგაციამ
2008 წლის
2 ოქტომბერს
და როგორ
შეუქმნა
სააკაშვილის
რეჟიმმა
ალიბი რუსულ
აბრეხიასა და
ოკუპაციას



დალატისთვის ვერდიქტის გამოტანა არასოდეს არ არის გვიან!


მიჩაის თავი შეაქვსა პრეზიდენტი ჰგონია!



სააკაშვილი ზურაბიშვილსა
და მარგველაშვილს გორის
ჰოსპიტალში შეხვედრას სთავაზობს

ამერიკელი კონგრესმენების მოწოდება საინვესტიციო კავშირების განმტკიცებისკენ

ამერიკელმა კონგრესმენებმა, აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების განმტკიცების მონოდეტით, აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელს, კეტრინ ტაის წერილით მიმართეს, — ამის შესახებ აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.
„საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი მოკავშირეა. საქართველოში, როგორც განვითარებად დემოკრატიულ ქვეყანაში, აუცილებელია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები გატარება, რაც ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებას, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება კი ამ რეფორმებს კიდევ უფრო დააჩქარებდა“, — ნათქვამია წერილში. წერილში ხაზგასმულია საქართველოს საკვანძო გეოგრაფიული მდებარეობა, რაც მას იდეალურ პარტნიორად აქცევს მსოფლიოში არსებული დაძაბულობისა და არასტაბილურობის ფონზე.
კონგრესმენები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობები ისეთ მყარ საფუძველს ეყრდნობა, როგორცაა ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ ჩარჩო შეთანხმება, მაღალი დონის სავაჭრო დიპლომატიის, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. საქართველოს, როგორც ღირებულ პარტნიორს, მათ შორის, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, აღიარებს ასევე ევროკავშირიც, რასაც მოწოდებს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ჩათვლით. წერილს, რომელიც 10 დეკემბერს გამოქვეყნდა, ხელს აწერენ კონგრესმენები: კეროლ მილერი, ადამ კინზინგერი, სტივ უომეკი, ჯონ როუზი, ჯიმი გომესი, ჯერალდ კონოლი, დენ კრენშოუ და ალექს მუნი.



„გუნტანამოს“ მბრძანებელი!

რომელ წამებაზეა საუბარი, ხელი რომ მოჰკიდეს, შეიყვანეს შიგნით და დააბრძანეს? ეს არის წამება? მაშინ ის რა იყო, რაც მის ციხეებში ხდებოდა? როგორც არ უნდა წარმოაჩინონ, რომ თურმე ჩვენს ციხეში სააკაშვილთან მიმართებით გუნტანამოს მეთოდებს იყენებენ, ეს არ არის საფუძველი იმისა, რომ დაშინებულნი ვართ.

ქართული ეკონომიკის გაშვებული რბოლა

ქართული
ღვინო
ლონდონში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ლონდონში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ლონდონში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ბრიტანული კომპანიის „Swirl Wine Group“ ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი სარა ებოტი უძღვებოდა. ქართული ღვინოების დეგუსტაციასთან ერთად, სარა ებოტის პრეზენტაცია ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის სტუმრებისთვის გაცნობას მოიცავდა. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო როგორც ქვევრის, ისე კლასიკური მეთოდით დამზადებული უნიკალური ქართული ღვინოები.
ღვინის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ლონდონში მიზნად ისახავდა დიდ ბრიტანეთში ქართული ღვინის მომხმარებლის ზრდის ხელშეწყობას. ლონდონში 80-მდე სტუმარი, ღვინის პროფესიონალები და მომხმარებლები დაესწრნენ, რომლებსაც ქართული ღვინო 13-მა ადგილობრივმა იმპორტიორმა გააცნო. ქართული ღვინის პოპულარიზაციის, ცნობადობის გაზრდის და დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ღვინის მაგისტრის, სარა ებოტის კომპანიასთან „Swirl Wine Group LTD“ 2015 წლიდან თანამშრომლობს. დიდი ბრიტანეთის ბაზარზე, ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენციაა. 2021 წლის I თვეში დიდ ბრიტანეთში ექსპორტირებულია 703 ათასამდე ბოთლი ღვინო. ზრდამ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 76% შეადგინა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულსტყვივით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 93 წლისა გარდაიცვალა ერთ-ერთი გამოჩენილი მეოცე საუკუნეელი ქართველი, თვალსაჩინო სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწე

ოთარ ფაცაცია.

რომელიც კაცურკაცობის ნიმუშად დაჩრება მომავალი თაობებისთვის.

იხ. 5 გვ.



ოთარ ფასაცია - ერისკაცი და ქვეყნის მოჭირნახულა

გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ოთარ ფასაცია.

ქართველ საზოგადოებას გამოაკლდა ბრწყინვალე წარმომადგენელი, სასიქადულო მამულიშვილი, კეთილშობილი პიროვნება, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას, მშვიდობისყოფას მოემსახურა. იგი იდგა იქ, სადაც მოქმედ უჭირდა, ურთულესი საკითხები წყდებოდა, სასიკეთო წამოწყებას ბალავარი ეყრებოდა... გააჩნდა გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭი, მმართველობისა და გადაწყვეტილებების მიღების განსაკუთრებული, შორსმჭვრეტელური ალღო, რაინდული სული, ქველმოქმედის ცნობიერი თანადგომის ოსტატობა.

მისი მაღალზნეობრივი, პასუხისმგებლური უნარ-თვისებები ბავშვობისა და ყრობის წლებიდანვე იწოდებოდა. ლენინგრადის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა, როგორც ინჟინერ-ეკონომისტი, აქვე მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი და ღრმად განსწავლული დაუბრუნდა მშობლიურ ზუგდიდს.

ოთარ ფასაციას შრომითი საქმიანობა და კარიერული წინსვლა ენგურის ცელულოზისა და ქალაქის კომბინატიდან დაიწყო. სადაც კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით, გამჭრიახობით, პრინციპულობით მალევე მიიქცია დიდი კოლექტივის ყურადღება. ახალგაზრდა სპეციალისტს, სამრეწველო საწარმოს პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ირჩევენ. შემდგომ მას აწინაურებენ პარტიის ზუგდიდის რაიონულ კომიტეტში ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ - მეორე და პირველ მდივნად. 1963 წელს ირჩევენ ზუგდიდის სამრეწველო ზონის პარტიული კომიტეტის მდივნად. ამ პოსტებზე მოღვაწეობისას გამოჩნდა მისი ლიდერული თვისებები, რაც აისახა რაიონის (ქალაქის) სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ენგურის მშენებლობის მასშტაბების გაფართოების პერსპექტივებზე.

ბატონი ოთარის ორგანიზატორული ნიჭი, ახლის ძიების ნოვატორული სულისკვეთება, ადამიან-

ნებთან მუშაობის უნიკალური უნარი სრულად გამოჩნდა ენგურქალაქის კომბინატის (საწარმოო გაერთიანების) გენერალურ დირექტორად მუშაობის 30-წლიან პერიოდში. მან რეალურად დაამტკიცა, რომ არსებულ ეკონომიკურ სისტემაშიც შესაძლებელი იყო სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის მიღწევა, მწვავე ეკოლოგიური პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტა, სოციალურ სიკეთეთა მაქსიმალურად მიღება.

მისი, როგორც ხელმძღვანელის პატრიოტიზმი და მასშტაბური ხედვა ნათლად გამოჩნდა გადაწყვეტილებაში - ადგილობრივი ნედლეული, რომელიც სვანეთის ხეტყის გაჩანაგების ხარჯზე იწარმოებოდა, ჩაანაცვლა რუსეთიდან შემოსული ნედლეულით და ამით განადგურებას გადაარჩინა ათასობით შექტარი ხეტყე. მისი გამჭრიახობის თვალსაჩინო ნიმუშია კომბინატში (პირველად საქართველოში) დაბინძურებული სადინარების მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური გაწმენდის მეთოდის დანერგვა, რითაც კომბინატისგან ჰაერის, მდინარე ენგურისა და შავი ზღვის გაჭუჭყიანების პრობლემა მოიხსნა.

ბატონი ოთარის ინიციატივითა და ძალისხმევით მოხერხდა ანაკლიის, როგორც რეკრეაციული ზონისა და დიდი საზღვაო პორტის რესურსული პოტენციალის შესწავლა-გამოკვლევა, რაც საფუძვლად დაედო მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მკაცრ გამწვევებს ბატონი ოთარი მომზადებული შესვდა და ჩვეული შემართებით, აქტიურად ჩაერთო ქვეყნის აღმშენებლობაში. 1992 წელს დაინიშნა ზუგდიდის გამგებლად, ხოლო 1993-1995 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გამოჩნდა მისი, როგორც ხელმძღვანელის მასშტაბური სახელმწიფოებრივი აზროვნება, სტრატეგიული ხედვები, ტოლერანტობა, ექსტრემალურ პირობებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის უნარი. მან უდიდესი როლი შეასრულა ძმათაშვილები დაპირისპირებით გაჩანაგებული ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ-

ბისკენ წარმართვაში, დევნილთა გაუსაძლისი მდგომარეობის შემსუბუქებაში, სამოქალაქო თანხმობისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის უზრუნველყოფაში.

პრემიერობის შემდგომაც გარდაცვალებამდე, ის ქვეყნის სამსახურში იყო და განსაკუთრებულად ფასდაუდებელია მისი როლი ეროვნული თანხმობის შემდგომი განმტკიცების, სამტროდ გადაკიდებულ ძალთა შერიგებისა და სამეგრელოს რეგიონში სიმშვიდის დამკვიდრების საქმეში.

ბატონმა ოთარმა მინდობილი საქმისადმი მაღალპროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით განვლო ხანგრძლივი, წინააღმდეგობით დატვირთული ცხოვრება და ქართველებში თავისი რეპუტაცია უმნიშვნელოდ შეინარჩუნა, ბოლომდე დაინარჩუნა ყოველგვარი პომპეზურობისა და ხმაურის გარეშე.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ხელისუფლება-სა და ეკლესიას ყურადღების მიღმა არ დარჩენია მისი დამსახურება - დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით და საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა გიორგის ოქროს ორდენით.

საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა დროს მინიჭებული ჰქონდა საბატო ჯილდოები. იყო საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი. ბოლო წლებში სათავეში ედგა საზოგადოება „ზუგდიდელს“.

საქართველოს მომავალს დიდი მამულიშვილები ქმნიდნენ. ისტორიას ახსოვს მათი ღვაწლი. ოთარ ფასაციას სახელი, ქვეყნის სამსახურში გაღებული წვლილი და ამაგი საზოგადოების მეხსიერებაში მუდამ დარჩება.

ვემშვიდობებით ღირსეულ მეგობარს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ქვეყნის დიდ მოამაგეს, კეთილშობილებით გამორჩეულ პიროვნებას, რომელმაც კაცთმოყვარეობის, ქვეყნისადმი დიდი სიყვარულისა და ერთგულების, ტოლერანტობის სანიმუშო მაგალითი მისცა საზოგადოებას.

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ჯუმბარ პატიაშვილი, როინ მებრაველი, მინდია უბრახელიძე, ბორის სარალიძე, ჯემალ ბახოქიძე, ალექსანდრე მოვსესიანი, რესან კონცეალიძე, რევაზ არველიაძე, მიხეილ ჯიჯუბი, ბიორგი ნაჭყავია, ნოდარ ჭითანაძე, ბონდო ჯიქია, კლიმენტი ჯანაფაძე, ჯემალ კუხალაშვილი, ბაკურ ბულუა, პაატა კოლუაშვილი, ბურამ ბუნაძე, კახა არღია, იგორ ძოგალია, ვახტანგ ყოლგაია, რაულ ჯახია, პეტრე ბარაია, დემურ გაღვილია, ნაპოლეონ ძარძაძე, ანზორ ბურჯანაძე, სულიკო ინაიშვილი, გივი ჯაფარიძე, ბრიგოლ მინანი, ნაპო მესხია, ვაჟა თორღია, ანზორ ხუბუტია, ოთარ ჭითანაძე, ანზორ ჭითანაძე, ლარი ჭითანაძე, ვაჟა ფიფია, მურმან ნაჭყავია, კარლო ვიკუა, იური ბუბუჩია, თამაზ ცანაძე, ბური ოტოგია, ზაურ ნაჭყავია, იური პავასძე, გია მაძაცარი, ბრიგა შონია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი, აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების დიდი ქომაგი და გულშემატკივარი

ოთარ ფასაცია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

როინ მებრაველი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე

ოთარ ფასაციას

და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

დემურ გაღვილია ოჯახით მწუხარებით იუწყება ღირსეული პიროვნების, დიდი საზოგადო და სამეურნეო მუშაკის

ოთარ ფასაცია

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

შალვა მაგლობლიშვილი, ჯამბულ წულაია, ლაურ ჯანაშია, გურამ ახალაია, დემიკო ლოლაძე იუწყებიან საამაყო და სამაგალითო მამულიშვილის

ოთარ ფასაციას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე მწუხარებას გამოხატავს გამორჩეული და გამოჩენილი მამულიშვილის

ოთარ ფასაციას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰპირებით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენნი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ვაჟა ფაშაძეს ქ. №48

599 79-76-79; 568 82-09-84

სანთელი

ეპოქა ნაპილა...

დიას, მასთან ერთად წავიდა მთელი ეპოქა, რომელშიც ბატონმა ოთარმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. დაიმკვიდრა თავისი ცხოვრების წესით, განუმეორებელი ნიჭითა და პენსიით. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ისე, როგორც კარნახობდა მას სინდისი, წესი და ჩვეულება, რაც ბავშვობაში წინაპრებისაგან მიუღია მშობლიურ სოფელ ჯოღლეში (ინგირი) ზუგდიდის რაიონში. ბატონმა ოთარმა იმდენად თვალსაჩინოდ და კეთილსინდისიერად იღვანა, რომ წყობილების, პოლიტიკური სისტემისა და ეპოქის შეცვლის მიუხედავად, ხალხი მუდამ უყოყმანოდ ანდობდა პირველკაცობას, რადგან მოღვაწეობის ყველა ეტაპზე ის გამოიჩინა საქმიანადმი წესიერი დამოკიდებულებით, იმ დროისათვის ხალხთან უჩვეულო სიასლოვით. პირველად საბჭოთა პერიოდში სწორედ მან დაწერა ინგირის ქალაქის კომინატში ისეთი სიახლეები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) თანამედროვე ტექნოლოგიებით გამდიდრებული მეურნეობის მართვის სისტემას.



იმხანად ორად დაყოფილი საზოგადოების პირობებში ბატონმა ოთარმა განონასწორებული და მშვიდი მოქმედებით შეძლო ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში დაპირისპირებული მხარეების თანაცხოვრებისათვის პირობების შექმნა. 1993 წელს ბევრი ვერ დასთანხმდებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე პასუხისმგებლობის აღებას, მაგრამ საქართველოს პარლამენტის ერთსულიანად მხარდაჭერამ, მისი პიროვნული და საქმიანი თვისებების ფაქტორებმა ბევრად განაპირობა შერიგების პროცესი საქართველოს დაპირისპირებული საზოგადოების მხარეებს შორის. მას პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებიც. აფხაზეთში ომის დროს ბატონი ოთარი მთელი თავისი შესაძლებლობით ჩაერთო კონფლიქტის მოგვარების პროცესში. მისი შესვენებები ელცინთან, ჩერნომირდითთან, რუსეთის ფედერაციის პირველ პირებთან, მსოლოდ სამსახურებრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ მისთვის მთავარი საკითხის – აფხაზეთში, აფხაზეთთან კონფლიქტის მოგვარებაში ხელშეწყობისათვის მხარდაჭერის მოთხოვნა იყო. სამწუხაროდ, ობიექტურმა თუ სუბიექტურმა გარემოებებმა მის შრომას არ მისცეს რეალიზების საშუალება კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებაში.

ბევრი თვითმხილველი ჰყავს მის მიერ განეულ ქალისხმევას სხვადასხვა ლოკალური თუ მასშტაბური დაპირისპირების თავიდან აცილებისათვის, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა ორივე მხრიდან.

განსაკუთრებული იყო მისი როლი ხიზანთა ჭურბრიდან ევაკუაციის საქმეში, ის არ მოშორებია იქაურობას ბოლომდე. დევნილებისადმი ასეთი დამოკიდებულება წითელი ძაფით გასდევდა მისი საქმიანობის მთელ პერიოდს. მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ახლა შეიძლება ბევრს არც ახსოვს, მაგრამ ისტორია აუცილებლად შემოინახავს მთავრობის ხელმძღვანელად მისი მოღვაწეობის პერიოდში დევნილთა ინტერესების დასაცავად მიღებულ უამრავ დადგენილებას.

ჩვენმა ურთიერთობამ საქართველოს პარლამენტში სხვა დატვირთვა შეიძინა. მანამდე კი ბატონი ოთარი, როგორც დიდი გამოცდილების მქონე, რესპუბლიკაში ცნობილი პიროვნება, საქართველოში ერთ-ერთი უნიკალური სანარმოს დირექტორი, განსაკუთრებულ მხარდაჭერას მიწევდა გალის რაიონის ახალგაზრდა ხელმძღვანელს. ჩვენი საქმიანი ურთიერთობის მეგობრულ, საოცრად თბილ ურთიერთობაში გადაყვანის ინიციატორი გაცნობისთანავე იყო თავად ბატონი ოთარი. ეს ურთიერთობა მე ანდერძად ჩემი წინამორბედებისგან – ბაკურ გულუასაგან, ოთარ ზუზბაიასგან, შოთა შარანგაიასგან მერგო. მერე, ომის დროს საომარ პირობებში, ბატონი ოთარი ზუგდიდში და რუდიკ ცატავა გალის რაიონში ომის პერიოდებში ყოველდღიურ პრობლემებს უმკლავდებოდნენ – იქნებოდა ეს მძევლების გაცვლა თუ ტვირთის გაცლა აფხაზეთში.

გალელებისადმი, იქ დარჩენილი მსახილობისადმი მას განსაკუთრებული, ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდა. აფხაზეთში, საზღვრებსა და მათ როლს შერიგების პროცესში. მისი როგორც პატრიოტის ინტერესის გაუნელებელი საგანი იყო თბილისსა და სოხუმს შორის მიმდინარე პროცესები.

ბატონი ოთარი ფაცაცია ზუგდიდის საზოგადოებასთან, თავის თანაგუნდელებთან – ბატონებთან ბონდო ჯიქიასთან, ოთარ ჭითანავასთან, მურმან ნაჭყებიასა და მრავალ სხვა მეგობართან ერთად დევნილების ყოველდღიური პრობლემების დარეგულირებაში იყვნენ ჩართულნი. ჩვენი ბოლო საუბარი დაახლოებით 10 დღის, ორი კვირის წინ შედგა. ბატონ ოთარს, რუდიკ ცატავასა და ჩემს შორის გამართული საუბარი არაფრით მოასწავებდა ამ ტრაგიკულ შედეგს.

დიდი მადლობა, ბატონო ოთარ, ყველაფრისთვის – ქვეყნისათვის განეული უანგარო სამსახურისთვის, ერთგულებისა და პატრიოტიზმისთვის, ტრადიციებისადმი ერთგულებისთვის, სითბოსთვის, რომელსაც ასე უხვად გვინანილებდი თითოეულ ჩვენგანს, ცალკეულ თანამემამულეს! მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

ვახტანგ ყოლაია

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახსნადებს აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული ქ. სენაკში, ქვესადგური „მენჯი-220“-ს ტერიტორიაზე (მის: ქ. სენაკი, ჯანაშიას ქ #2, საკადასტრო კოდი: 44.01.37.054) მდებარე მიწის ნაკვეთის - 30კვ.მ.-ს ოდენობით, იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით (ამავე ტერიტორიაზე არსებული მეიჯარის საკომუნიკაციო ანძის კონსტრუქციაზე აპარატურა-მოწყობილობების განთავსების მიზნით) აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის: 2-510-281 მობ: 577 240-233

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახსნადებს აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული ქვესადგური „საშური-220“-ს კუთვნილი ტერიტორიაზე (მის: ქ. საშური, გაგრიის ქ #80, საკადასტრო კოდი: 69.08.37.077) ნაწილის - 24კვ.მ.-ს ოდენობით, იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით (ამავე ტერიტორიაზე არსებული მეიჯარის საკომუნიკაციო ანძის კონსტრუქციაზე აპარატურა-მოწყობილობების განთავსების მიზნით) აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის: 2-510-281 მობ: 577 240-233

ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახსნადებს აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული ქვესადგური „წორი-110“-ს (მის: რ-ნი სიდნალი, სოფ: საქობო, საკადასტრო კოდი: 56.03.57.094) კუთვნილი ტერიტორიის ნაწილის - 12კვ.მ.-ს ოდენობით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით (ამავე ტერიტორიაზე მდებარე განათების ანძაზე 2კვ.მ. ფართზე აპარატურა-მოწყობილობების განთავსების მიზნით) აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის: 2-510-281 მობ: 577 240-233

უახლოესი მეგობრები: ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, ბურაბ გუნავა, ბაკურ გულუა, რაულ ჯახია, პეტრე ბერაია, იური ბუბუჩია, ოთარ და ლარი ჭითანავაძე, ნათელა ფიფია, თინათინ შანავა, მურთაზ ბოქუჩავა, გივი სოსელია, მურმან ნაჭყებია, თამარ ცანავა, კარლო ვეკუა, ემზარ კვარაცხელია, ბული ბაბუაძე, ვახა ჯიქია იუსუბიან იგორ ქობალიას მეუღლის, დადებული ქალბატონის, თბილი, კეთილი და სათნოების განსახიერება ადამიანის, ღვანღმოსილი და დამსახურებული პედაგოგის

სიალა სოსელია-ქობალიას

გარდაცვალებას და დიდ მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს და ნათესაობას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

წყალმომარაგების სისტემები ახლდება

აბსპის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების კომპანია წყლის სისტემების მშენებლობასა და რეაბილიტაციის მუნიციპალიტეტებში აქტიურად აგრძელებს, - ამის შესახებ აღნიშნულია კომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე განცხადებით, ამჯერად, წყლის ინფრასტრუქტურა კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ხიდისყურსა და საქადაგიანოში ეწყობა. საშუალებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2,6 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება. კომპანიის ინფორმაციით, აღნიშნულ სოფლებში დღემდე არ არსებობს ცენტრალიზებული სისტემა, მოსახლეობის უმრავლესობა წყალს ეზობებში თვითნებურად მოწყობილი ჭებებიდან მოიხმარს.

ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია

თელავის მუნიციპალიტეტში „ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ საპროექტო პროექტი ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს როგორც არსებული, ისე დეგრადირებული და განადგურებული ქარსაფარი ზოლების გამოვლენა. მუნიციპალიტეტის განცხადებით, აღნიშნულ ნაკვეთებზე არსებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობისა და ხიზანეობის სტრუქტურის განსაზღვრა და შესაბამისი მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საკადასტრო აზოპიკითი ნახაზების მომზადება. წინასწარი მონაცემებით, თელავის მუნიციპალიტეტში აღირიცხება და საჯარო რეესტრში ქარსაფარ ზოლად დარეგისტრირდება, დაახლოებით, 430 ჰექტრამდე მიწის ფართობი; კერძო მფლობელობაში არსებული ქარსაფარი ზოლის შემთხვევაში, მათთვის სტატუსის მინიჭება შესაძლებელია შეთანხმებით მოხდეს.

